



შოთა რუსთაშვილის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ამერიკისმცოდნეობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:  
ამერიკისმცოდნეობა  
**American Studies**

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლების ენა: ქართული.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი  
**MA in American Studies**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:  
სრული პროფესორი ირაკლი ცხვედიანი  
ტელ. +995-431- 24-27-70 (სახლი)

598605950 (მობილური)

ელ.ფოსტა: [iraklitskhvediani@yahoo.com](mailto:iraklitskhvediani@yahoo.com)

**პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში:**

- პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 აკადემიური სემესტრი); აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრატურის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. აქედან 15 კრედიტი- არჩევითი საგნები, 30 ECTS- სამაგისტრო ნაშრომი, 75 კრედიტი -ძირითადი კურსები.

**პროგრამის არსი:**

- სამაგისტრო პროგრამა ამერიკისმცოდნეობაში გულისხმობს ინტერდისციპლინარულ სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. პროგრამა განიხილავს: ქვეყნის გეოგრაფიულ გარემოს, ბუნებრივ სიმდიდრეებს, მკვიდრ ამერიკელებსა და მოსახლეობას ზოგადად რასის, ეთნოსის, კლასისა და გენდერის მიხედვით; ასევე სახელმწიფოებრიობის, ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, ენის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ხელოვნების (დრამის, კინოსა და მუსიკის) საკითხებს. სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების, როგორც სიღრმისეულ, ასევე მასშტაბურ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს შიდადარგობრივი დისციპლინების

სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა. მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება საქართველოს, ევროპის, აშშ-ს უნივერსიტეტებში:

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge) ;

სანტა კრუზის უნივერსიტეტში (აშშ, კალიფორნია) <http://americanstudies.ucsc.edu/graduate/> ;

სენტ ლუისის უნივერსიტეტში (აშშ, მისური) <http://www.slu.edu/x24805.xml>;

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში, ბოსტონი (აშშ, მასაჩუსეტსი) [http://www.umb.edu/cla/american/graduate\\_program/522/](http://www.umb.edu/cla/american/graduate_program/522/);

რატგერსის უნივერსიტეტში (აშშ, ნიუ ჯერსი) <http://americanstudies.newark.rutgers.edu/>;

ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში [http://www.hca.uni-heidelberg.de/ma/index\\_en.html](http://www.hca.uni-heidelberg.de/ma/index_en.html)

თითოეულ ამ უნივერსიტეტთან ჩვენს პროგრამას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს.

### **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

1. ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი
2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
3. წერიტი გამოცდის (ტესტირების) ჩაბარება ამერიკის ლიტერატურასა და ისტორიაში ინგლისურ ენაზე; სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა (ესეის დაწერა ინგლისურ ენაზე)

### **პროგრამის მიზანი:**

ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ამერიკისმცოდნეობის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა აღნიშნულ დარგში. სამაგისტრო პროგრამა აფართოებს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ავითარებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას ამერიკისმცოდნეობაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის; ასევე, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე -დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.

სამაგისტრო პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან: ისტორია, ლიტერატურა, საზოგადოება/კულტურა. პროგრამაში ჩართული არიან მსოფლიო ისტორიის, ინგლისური ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, პედაგოგიკის დეპარტამენტები. დღეს, როდესაც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს და ვითარდება მრავალმხრივი პარტნიორული თანამშრომლობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აქტუალურ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს ახალგაზრდა, კვალიფიციური ამერიკისმცოდნეების აღზრდის საკითხი.

## **სწავლის შედეგები:**

### **-ცოდნა და გაცნობიერება:**

სტუდენტს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ამერიკისმცოდნეობაში. ექნება უნარი კომპლექსურად აღიქვას ქვეყანა. ინტერდისციპლინარული მიდგომის წყალობით, შეძლებს ერთმანეთს დაუკავშიროს მოვლენები სხვადასხვა სფეროდან, მოახდინოს მათი კომპლექსური ანალიზი და გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები. გარდა ამისა შეიძენს ღრმა დარგობრივ ცოდნას ამერიკული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ ისტორიაში, პოლიტიკაში, გეოგრაფიაში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, კულტურაში. დაეუფლება ამერიკული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, ასევე სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციის ტექნიკას. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდით (საკურსო შრომა, სამაგისტრო ნაშრომი ამერიკის ისტორიის, ლიტერატურის, საზოგადოებისა და კულტურის, მკვიდრ ამერიკელთა თუ გენდერულ საკითხებზე) სტუდენტი შეიმუშავებს ორიგინალურ სამეცნიერო იდეას, გააცნობიერებს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზებს.

### **-ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

პროგრამის დასრულების შემდეგ, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით სტუდენტს ექნება კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში-სწავლის გასაგრძელებლად მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა უნდა იყოს სკალირების C პირველ დონის შეესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ მას შეეძლება ამერიკისმცოდნეობაში ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, სტუდენტებს ექნება ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტონ სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად მიმართონ სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს. მათ შეეძლება ასევე, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

### **-დასკვნის უნარი:**

მაგისტრს შეეძლება ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული დარგის სხვადასხვა სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, ცალკეული თემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.

სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს შესძენს ამერიკისმცოდნეობაში დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს.

**-კომუნიკაციის უნარი:**

მაგისტრს ექნება ძირითადი უნარი ამერიკისმცოდნეობის საკითხების მიხედვით, თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები და ინფორმაციები, როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით. იგი შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; ასევე, მაგისტრს შეეძლება, მოამზადოს წერილობითი და ზეპირი ანგარიშები სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის.

**-სწავლის უნარი:**

მაგისტრანტს შეეძლება ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება საკითხის ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, ამერიკისმცოდნეობის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ასევე ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, ზოგადი მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდის გამოყენება. მაგისტრანტს შეეძლება საკუთარი სასწავლო პროცესის თანამიმდევრულად და მარავალმხრივად გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა.

**-ღირებულებები:**

მაგისტრს ექნება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეეძლება სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მას შეეძლება ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ საკითხში მისთვის განსაკუთრებით ფასეული იქნება ჰუმანიზმის ის ტენდენციები, როგორცაა სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება.

საგანმანათლებლო პროგრამაში /ამერიკისმცოდნეობა/ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსთან

ს ა გ ნ ე ბ ი	საგანმანათლებლო პროგრამაში /ამერიკისმცოდნეობა/ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიმართება სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსთან																							
	ამერიკის ეკონომიკა	ამერიკ. ფილოსოფ. ძირ. მიმართულებ	პოლიტარტები და საარჩევნ. სისტემა	აშშ ისტ. 1-ლი კოლონიებიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით	აშშ ისტორია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე I მსოფლიო ომის ჩათვლით	აშშ ისტორია XX საუკუნეში I მსოფლიო ომიდან დღემდე	ამერიკ.ლიტ.ძირით.მიმდინ და პრობლ. საკითხები XXI-ის მე-2 ნახევრამდე	ამერიკ. მოდერნ. რომანის პოეტიკა	სემინარი მწერალზე	უახლ. ამერიკ. ლიტ-ის ძირით. ტენდენ.	აშშ-ს ცხოვრების წესი და კულტურა	ამერიკ. აბორიგენთა ეთნოგენეზისი და კულტურა	ენა, საზოგადოება და კულტურა	ოჯახურ ღირებულებათა ტრანსფორმაცია მერიკულ საზოგადოებაში	პლურალიზმი აშშ-ში	მითოსი ანგლო-ამერიკ. მოდერ. ლიტ-ში	ინგლისური ენა	ამერიკული დრამა	1920-იანი წ. ამერიკ. ლიტ და კულტურა	აშშ-ს გეოგრაფია	ამერიკული ლიტ-ული კრიტიკა	სამაგისტრო შრომა	საკურსო შრომა	სამეცნიერო წერის საფუძვლები
ცოდნა, გაცნობიერება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ცოდნის პრაქტ. გამოყენება	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
დასკვნის უნარი	+		+	+	+	+	+		+	+			+	+	+	+		+	+	+	+	+	+	
კომუნიკაციის უნარი			+	+	+	+	+		+			+		+	+	+	+	+	+		+	+	+	+
სწავლის უნარი		+	+	+	+	+	+	+	+	+		+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ღირებულებები	+	+	+	+	+	+	+				+	+		+	+	+		+	+		+	+	+	+

სასწავლო გეგმა

№	დისციპლინის დასახელება	ს უ ლ	ლექცია	პრაქტიკული	დამოუკულებელი	კრედიტების რაოდენობა				საათების კვირეული განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით			
						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	I კურსი		II კურსი	
										I სემ	II სემ	III სემ	IV სემ
	<b>სავალდებულო კურსები</b>												
1.	ამერიკის ეკონომიკა	125	15	15	95		5				2		
2.	ამერიკული ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები	125	30	15	80		5				3		
3.	პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემა	125	22	8	88			5				2	
4.	ინგლისური ენა	375		84	291	5	5	5		2	2	2	
	<b>I მოდული: აშშ-ს ისტორია</b>												
5.	აშშ-ს ისტორია პირველი კოლონიების შექმნიდან XIX საუკუნის ჩათვლით	125	24	12	82	5				3			
6.	აშშ-ს ისტორია XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე I მსოფლიო ომის ჩათვლით	125	30	15	73		5				3		
7.	აშშ-ს ისტორია XX საუკუნეში I მსოფლიო ომიდან დღემდე	125	22	8	88			5				2	
	<b>II მოდული: ამერიკის ლიტერატურა</b>												
8.	ამერიკული ლიტერატურის	125	24	12	99	5				3			

	ძირითადი მიმდინარეობანი და პრობლემური საკითხები XX საუკუნის მე-2 ნახევრამდე												
9.	უახლესი ამერიკული ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობანი	125		30	95		5				2		
10.	სემინარი მწერალზე	125		30	95			5				2	
	<b>III მოდული: ამერიკის საზოგადოება და კულტურა</b>												
11.	აშშ-ს ცხოვრების წესი და კულტურა	125	24	6	95			5				2	
12.	ენა, საზოგადოება, კულტურა	125	24	12	80	5				3			
13.	ოჯახურ ღირებულებათა ტრანსფორმაცია ამერიკულ საზოგადოებაში	125	20	4	101	5				2			
14.	სამაგისტრო შრომა	750							30				
	<b>არჩევითი კურსები</b>												
	<b>არჩევითი კურსები 1</b>												
1.1	აშშ-ს გეოგრაფია	125	20	4	101	5				2			



1.2	ამერიკული მოდერნისტული რომანის პოეტიკა	125	18	6	101	5				2			
1.3	გენდერული სწავლებანი და ფემინისტური მოძრაობის ისტორია აშშ-ში	125	18	6	101	5				2			
	<b>არჩევითი კურსები 2</b>												
2.1	პლურალიზმი აშშ-ში	125	20	10	95		5				2		
2.2	ამერიკული დრამა	125	20	10	95		5				2		
2.3	1920-იანი წლების ამერიკული ლიტერატურა და კულტურა	125	20	10	95		5				2		
2.4	ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა	125	20	10	95		5				2		
2.5	ამერიკის პოპ-კულტურა	125	20	10	95		5				2		
	<b>არჩევითი კურსები 3</b>												
3.1	სამეცნიერო წერა და კრიტიკული აზროვნება	125		30	95			5				2	
3.2	მითოსი ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში	125	20	10	95			5				2	
3.3	ამერიკის აბორიგენტთა ეთნოგენეზისი და	125	20	10	95			5				2	

კულტურა													
სულ	3000	347	295	2301	30	30	30	30	15	12	12		

**დასაქმების სფეროები:**

კურსდამთავრებული შეძლებს სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებას დოქტორანტურაში ამერიკული ლიტერატურის, ენათმეცნიერების ან ისტორიის მიმართულებით. სპეციალისტებს საშუალება ექნებათ იმუშაონ სასწავლო-საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში, საშუალო სკოლებში, დიპლომატიურ სარბიელზე, საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, საგამომცემლო სფეროში, სარეკლამო და ტურისტულ სააგენტოებში, პრესცენტრებში, რედაქციებში, რადიოსა და ტელევიზიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებში, კულტურის სფეროში, თარჯიმნებად. ამერიკისმცოდნე სპეციალისტებზე, დღეისათვის საქართველოს შრომით ბაზარზე მოთხოვნა არსებობს, რადგან ბევრი ქართულ-ამერიკული ერთობლივი თანამშრომლობის პროექტი ხორციელდება.

**სწავლების მეთოდები**

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დედუქციისა და ინდუქციის, აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდოლოგიის - ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდების - გამოყენებას სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულის თუ ზოგადად პროგრამის მიზნების განხორციელებას.

პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებაა ლექციებსა და პრაქტიკულებზე სტუდენტის მაქსიმალური აქტიურობის სტიმულირება, სწავლების პროცესში სტუდენტის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ამავდროულად ამ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურად მაღალ შედეგებს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით

განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის

შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:**

სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის პროცესში მაგისტრებს საშაულებია ექნებათ აქტიურად გამოიყენონ უახლესი კომპიუტერული პროგრამები, ინტერნეტი, ისარგებლონ არსებული ბიბლიოთეკით, ჩაატარონ პრეზენტაციები. ამ მიზნით, პროფესორ ვახტანგ ამდლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრში (რომელიც თავისი დანიშნულებით რეგიონალურია, ემსახურება ყველა დაინტერესებულ პირს და მათ შორის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას) ხელმისწვდომია:

10 კომპიუტერი (სასწავლო პროცესისათვის/სტუდენტებისათვის);

2 კომპიუტერი (ცენტრის პერსონალისა და მოწვეული სტუმრისათვის (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

ფაქსი

ტელევიზორი

DVD

აუდიო და ვიდეომაგნიტოფონი

LCD პროექტორი

აგრეთვე, სასწავლო ფილმების დიდი კოლექცია და ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა სამეცნიერო ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით (1450 დასახელება).

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**

პროფესორი ირაკლი ცხვედიანი	(ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი)
პროფესორი გიორგი ღვთაძე	(ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი)
პროფესორი დავით გეგეჭკორი	(მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტი)
პროფესორი ზაალ კიკვიძე	(ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი)
პროფესორი მირიან ებანოძე	(ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტი)
ასოც. პროფესორი ია იაშვილი	(გეოგრაფიის დეპარტამენტი)
ასოც. პროფესორი რუსუდან მიქაუტაძე	(არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის დეპარტამენტი)
ასოც. პროფესორი ბაია კოლუაშვილი	(ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი)
ასოცირებული პროფესორი ეკა არჩვაძე	(ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი)
ასისტ. პროფესორი თამარ ჭეიშვილი	(ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი)
მ/დ ნანა გუბელაძე	(ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი)